ლეიერკო / LayerCo

www.layerco.org
მის: თბილისი, ზ. ფალიაშვილის 80ა, 0179
info@layerco.org d.darejanashvili@gmail.com

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

www.museum.ge
მის: თბილისი, შოთა რუსთაველის გამზირი 3, 0105

საქართველოს ეროვნული მუზეუმის

ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ

2026 წლის მარტი-აპრილში ჩატარებული მე-2 ფაზის არქეოლოგიური სამუშაოების

ა ნ გ ა რ ი შ ი

თარიღი	23. 04. 2026
პროექტის ხელმძღვანელი	სულხან ხარაბაძე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ხელმოწერა	

თბილისი

2026

სარჩევი

შესავალი 3

1. საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული კვლევა 5

2. მეორე ეტაპის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში 13

ლოკაცია I - ნიკოლოზ ბარათაშვილის I ჩიხი. 4 სადაზვერვო თხრილი (სურ. 11-12): 14

ლოკაცია II და III - საყანჩიას უბანი (გ. ტაბიძისა და რ. ერისთავის ქუჩები, სასაფლაოს ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთი). 23 სადაზვერვო თხრილი (სურ. 19-21) 15

ლოკაცია IV. აკაკი გიორგაძის ქუჩა, I შესახვევში დადებული იქნა 4 სადაზვერვო თხრილი (სურ. 59-60) 21

3. დასკვნა და რეკომენდაციები 22

დასკვნა 22

რეკომენდაციები 23

გამოყენებული ლიტერატურა: 25

დანართი 1 - ფოტომასალა 28

შესავალი

დოკუმენტი შედგენილია "სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმი"-ს მიერ, კომპანია შპს "ლეიერკო"-ს (ს/კ 405721713) დაკვეთით, 27.02.2026 ხელშეკრულების საფუძველზე. წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია ვანის მუნიციპალიტეტის ქ. ვანში ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჩატარებული მეორე ფაზის არქეოლოგიური კვლევის ანგარიში. არქეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა ქ. ვანში მიმდინარე წყალგაყვანილობის და საკანალიზაციო სისტემის მშენებლობის საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში.

მეორე ფაზის არქეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ 2026 წლის 18 მარტს გაცემული ნებართვის (№ ნ/12/15) საფუძველზე. სამუშაოების ჩატარების საფუძველია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი №17/1429, რომელშიც მეორე ფაზის არქეოლოგიური დაზვერვების ჩასატარებლად მოინიშნა ოთხი ლოკაცია:

I. ნიკოლოზ ბარათაშვილის I ჩიხი - მდებარეობს არსებული და დადასტურებული არქეოლოგიურ ობიექტის უშუალო სიახლოვეს და მთლიანი ჩიხის ტერიტორიაზე, მრავლად გვხვდება არქეოლოგიური მასალა. დიდია ახალი ობიექტების გამოვლენისა და დაზიანების რისკი.

II. საყანჩია, გალაკტიონ ტაბიძისა და რაფიელ ერისთავის ქუჩები (ზუსტი ფართობის განსაზღვრა რთულია, ვინაიდან ეს ადგილი მდებარეობს საყანჩიაზე და ირგვლივ მრავლად არის მიმოფანტული კერამიკა ზედაპირულად). მდებარეობს არსებული და დადასტურებული არქეოლოგიურ ობიექტის უშუალო სიახლოვეს და დიდია ახალი ობიექტის გამოვლენის რისკი, რაც წინასწარი შესწავლის გარეშე, გამოიწვევს მის დაზიანებას ან დანგრევას.

III. საყანჩია, სასაფლაოს ჩრდილო-დასავლეთით (GPS: 294828.00 m E, 4663239.00 m N), სატუმბი სადგურის (ჭის) ასაშენებლად შერჩეული ადგილი. ლოკაცია წარმოადგენს არქეოლოგიური პოტენციალის შემცველ ტერიტორიას, სადაც ზედაპირულად მრავლად გვხვდება ანტიკური ხანის მასალა, რაც ამ ადგილას არქეოლოგიური ობიექტის არსებობის მიმანიშნებელია.

IV. კეჭინარა, აკაკი გიორგაძის I შესახვევის ბოლოს (GPS: 293289.00 m E, 4662425.00 m N), სატუმბი სადგურის (ჭის) ასაშენებლად შერჩეული ადგილი. ამ ლოკაციაზეც მრავლადაა მიმობნეული არქეოლოგიური მასალა და წინა წლებშიც დადასტურებულია ერთეული ნივთების გამოვლენის შემთხვევები, რაც არქეოლოგიური ობიექტის არსებობაზე მიუთითებს.“

ზემოთაღნიშნულ ლოკაციებზე ვანის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი - სულხან ხარაბაძე; წევრები: გია ჩილინგარაშვილი, დავით ჯალაბაძე, ელეონორა სახვაძე) იმუშავა 2026 წლის 24 მარტიდან 8 აპრილამდე პერიოდში (16 დღე). ექსპედიციის ფარგლებში ოთხივე ლოკაციაზე გაიჭრა სადაზვერვო თხრილები, II და III ლოკაციები გავაერთიანეთ ერთ ლოკაციად, რადგანაც ორივე ეხებოდა ერთ დადასტურებულ არქეოლოგიურ ობიექტს „საყანჩისა ნამოსახლარს“:

1. ლოკაცია I (ნ. ბარათაშვილის I ჩიხი) – 4 სადაზვერვო თხრილი;
2. ლოკაცია II და III (საყანჩია, გალაკტიონ ტაბიძისა და რაფიელ ერისთავის ქუჩები, სასაფლაოს ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთი) – 23 თხრილი;
3. ლოკაცია IV (კეჭინარა, აკაკი გიორგაძის I შესახვევი) - 4 სადაზრვევო თხრილი.

1. საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული კვლევა

შესასწავლი არეალი, მდებარეობს საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის, იმერეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრ ქალაქ ვანში. მას ესაზღვრება ამავე მუნიცეპალიტეტის სოფლები: სალხინო (სამხრეთ-აღმოსავლეთიდან), ზედა ვანი (სამხრეთიდან), გაღმა ვანი (სამრეთ-დასავლეთიდან), შუამთა, ზედა ციხესულორი და ქვედა ციხესულორი (დასავლეთიდან) [ხარაბაძე, 2008, გვ. 18, ტაბ. V]; სამტრედიის მუნიცეპალიტეტის სოფ. ბაში და წყალტუბოს მუნიცეპალიტეტის სოფ. საყულია ჩრდილოეთიდან (სურ. 1-3).

ქალაქი ვანი მდებარეობს მდ. რიონის მარცხენა შენაკადის, მდ. სულორის ნაპირზე. ვანი თავისი გეომორფოლოგიური სტრუქტურით წარმოადგენს მდინარეების სულორის და ჭიშურას ეროზიულ ქვაბულს, ჩრდილოეთით მას ესაზღვრება კოლხეთის დაბლობის სამხრეთი ფრთა, რომლისგანაც გორაკ-ბორცვოვანი დანაწევრებული რელიეფის მქონე რიგითაა გამოყოფილი [მარუაშვილი, 1964, გვ. 286-289; ჯაყელი, 1959; საქართველოს გეოგრაფია, 2000]. გორაკ-ბორცვიანი ზონის აგებულებაში ჭარბობს მერგელები, თიხაფიქლები, ქვიშაქვები, კონგლომერატები, კირქვები, სარმატული და პონტური თიხები; ვაკე დაბლობი კი მეოთხეულის ძველი და თანამედროვე ალუვიური ნალექებით არის აგებული [წერეთელი, 1958]. ნიადაგის ტიპები გორაკ-ბორცვიან ზონაში წარმოდგენილია - წითელმიწა, ყვითელმიწა, ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგებით და მათი სახესხვაობებით; ვაკე-დაბლობზე ეწერი და ალუვიური ნიადაგებით [კირკიტაძე, 1958; საბაშვილი, 1965]. მოსახლეობის დიდი ნაწილი მჭიდროდაა დასახლებული ვაკე დაბლობზე მდ. სულორის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროს ზონაში, გორაკ-ბორცვიან

ნაწილში კი ნაკლებად ეროზიული სერების გასწვრივ. რიონისპირა დაბლობი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებადაა გამოყენებული.

სახელწოდება „ვანი“ ძველ ქართულ ენაში ნიშნავდა - სახლს, სადგურს, დაბას, საცხოვრებელს [ჯავახიშვილი, 1946, გვ. 7-9; ლორთქიფანიძე, 1996, გვ. 3]. ამ მხარის აღსანიშნავად რაიმე სახელწოდებაზე წყაროებში ინფორმაცია მხოლოდ XVIII საუკუნეში გვხვდება, ვახუშტი ბაგრატიონის ბაგრატიონის ცნობით, ამ მხარეს ძველად საჩინო ერქვა, მდინარე სულორს კი საჩინოსხევი, ისტორიკოსის შესაბამის რუკაზე საჩინოს ხევის ნაპირას დატანილია დაბა და ციხე საჩინო, ცოტა მოშორებით კი სებეკას ციხე [ბერაძე, 1979, გვ. 31]. XVIII საუკუნის 70-იან წლებში, თანამედდოვე ქალაქის ტერიტორიიდან 7-8 კილომეტრში მდებარე სოფელს ამჟამინდელ ზედა ვანს - ვანი ერქვა [ბერაძე, 1979, გვ. 32]. გვიან შუა საუკუნეებში ამ მხარეს ჩიჯავაძეები ფლობდნენ [სოსელია, 1981, გვ. 7-28]], ამიტომ ხშირად საჩინოს საჩიჯავაძოსაც უწოდებენ [ბერაძე, 1979, გვ. 35]. XIX საუკუნის დასაწისში იმერეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მიერ გაუქმების შემდეგ, აქ სებეკას ციხის ტერიტორიაზე განთავსდა ქუთაისი გუბერნიის ქუთაისის მაზრის სებეკას საპოლიციო უბნის ადმინისტრაცია და მოსამართლე, ამავე დროიდან სებეკაც ციხის მიმდებარედ მდ, სულორისა და მდ. ჭიშურას შესართავებს შორის ტერიტორიაზე სახლდებიან ებრაელები. დასახლება თანდათანობით გარდაიქმნება დაბად, რომელიც 1930 წელს ვანის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი ხდება, 1961 წლის 19 ოქტომბერს ენიჭება დაბის სტატუსი (სურ. 4) [საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, 1966, გვ. 9], 1981 წელს კი ქალაქის სტატუსი.

ვანზე და მის მახლობლად გადიოდა სავაჭრო გზები: მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალი, რომელიც შორეული ინდოეთიდან მოემართებოდა კასპიის ზღვამდე, ხოლო შემდგომ მდ. მტკვარით, სურამის უღელტეხილით, მდინარეებით ყვირილა და რიონით აღწევდა შავ ზღვამდე; სამხრეთ

საქართველოდან (მესხეთიდან) და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან (გურიიდან) [ლორთქიფანიძე, 1996, გვ. 3].

თანამედროვე ქალაქს უჭირავს ისტორიული სოფლების ქვედა ციხესულორის ტერიტორია (კეჭინარას უბანი - აკაკი გიორგაძეს ქუჩა), ზედა ვანის (ნიკოლეიშვილების უბანი, ჩინთილარი - 26 მაისის, კორნელი კეკელიძეს, აკაკი წერეთლის, მიხეილ ჩუნგაძეს, სოლომონ II-ეს და სერგო ჩახუნაშვილის ქუჩები), გაღმა ვანის (მიხეილ დიასამიძეს და გიორგი ნაფეტვარიძეს ქუჩა).

ადგილობრივი მოსახლეობა ვანს ყოფს უბნებად როგორიცაა : ახვლედიანების უბანი (ოთარ ლორთქიფანიძეს ქუჩა, ვახტანგ გორგასალის ქუჩა № 11 სახლდან, აკაკი გიორგაძეს ქუჩის დასაწყისი № 10 სახლის ჩათვლით), ებრაელების უბანი (გია ჭანტურიას ქუჩა, ვახტანგ გორგასალის ქუჩის დასაწყისი № 8 სახლის ჩათვლით, აკაკი ჯორჯიაშვილის ქუჩა დასაწყისი № 10 სახლის ჩათვლით, თავისუფლების ქუჩა № 87ა სახლის ჩათვლით, შაფთაი ცურის ქუჩა, ილია ჭავჭავაძეს ქუჩა), საყანჩია (გალაქტიონ ტაბიძეს ქუჩა № 45 სახლის ჩათვლით, თამარ მეფის ქუჩა № 38 სახლიდან, რაფიელ ერისთავის, ნიკო ნიკოლაძეს და ბაგრატის ქუჩბი), სანისოული (გალაქტიონ ტაბიძეს ქუჩის ბოლო № 49 სახლიდან), ახალი უბანი (თავისუფლების ქუჩის ბოლო № 49 სახლიდან), ჩინთოურა - ნიკოლეიშვილების უბანი (26 მაისის ქუჩა № 44 სახლიდან, გიორგი სააკაძეს, კორნელი კეკელიძეს, აკაკი წერეთლის, მიხეილ ჩუგნაძეს, სოლომონ II-ეს და სერგო ჩახუნაშვილის ქუჩები), ლეღვნარი (წმინდა ნინოს ქუჩა), შენგელიების უბანი (ვაჟა ფშაველას, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა № 23 სახლის და ამავე ქუჩის I ჩიხის ჩათვლით), მოსავლიძეების უბანი (ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა № 25 სახლიდან), დიასამიძეების უბანი (მიხეილ დიასამიძეს ქუჩა), ვაშაყმაძეების უბანი (გიორგი ნაფეტვარიძეს ქუჩა), კეჭინარა (აკაკი გიორგაძეს ქუჩა № 23 სახლიდან).

ქალაქ ვანში, ადმინისტრაციული ცენტრის დასავლეთით ახვლედიანების უბანში არქეოლოგიური გათხრების შედეგად, რომელიც პირველად ექვთიმე თაყაიშვილმა წამოიწყო 1896 წელს (არქეოლოგიური გათხრების ისტორიის შესახებ ბიბლიოგრაფია

იხილე [არქეოლოგიური გათხრები, 1996, №№ 18, 119, 147, 156, 244, 334, 336, 406, 423, 482; ლორთქიფანიძე, 1996, გვ. 4-5; კაჭარავა, 2010, გვ. 35-40]), გამოვლენილია ნაქალაქარი (არქეოლოგიური გათხრების ანგარიშების ბიბლიოგრაფია იხილე [არქეოლოგიური გათხრები, 1996, №№ 14, 19, 23-32, 54-55, 64-66, 69-70, 78, 85-86, 92, 95, 100, 106, 109, 111, 115-117, 120-122, 129, 132, 134, 160, 166, 189, 199-200, 205, 226-227, 245-248, 250, 252, 260-262, 363, 365, 367-369, 371-372, 379, 434, 469, 476; მათიაშვილი, 2013; ახვლედიანი და სხვ., 2022]). იგი აღმართულია სამკუთხა 6,5 ჰ. ფართობის, სამ ტერასად დანაწილებულ ბორცვზე. გორაკს ორი მხრიდან ზღუდავს ხევები - საქვაბიას და სამღელეს ღელის. ვანის ნაქალაქარზე განხორციელებული გათხრების შედეგად დადგენილია აქ უწყვეტი ცხოვრება ძვ.წ. I ათასწლეულის თითქმის მთელ სიგრძეზე. გამოიყოფა განვითარების ოთხი ძირითადი ფაზა [ლორთქიფანიძე, 1996, გვ. 5]: I. ძვ.წ. VIII-VII სს, ნაქალაქარზე გამოვლენილია ამ პერიოდის სამსხვერპლო მოედანი [Tolordava, 1990] და კულტურული ფენები (ბიბლიოგრაფია იხილე [არქეოლოგიური გათხრები, 1996, №№ 364, 411, 429, 445, 461-462, 481, 484]); II. ძვ.წ. VII ს-ის დასასრული - ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი, გამოვლენილია ამ პერიოდის ნაგებობების ნაშთები, სამსხვერპლოები, მდიდრული სამარხები და კულტურული ფენები (ბიბლიოგრაფია იხილე [არქეოლოგიური გათხრები, 1996, №№ 111, 130, 188, 210, 259, 364, 375, 405, 424, 437-438, 443, 445, 462]); III. ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევარი - ძვ.წ. III საუკუნის პირველი ნახევარი, დადასტურებულია ამ პერიოდის ნაგებობების ნაშთები, მდიდრული სამარხები და კულტურული ფენები (ბიბლიოგრაფია იხილე [არქეოლოგიური გათხრები, 1996, №№ 111, 302, 348, 364, 375, 437-438, 443, 445, 462; კაჭარავა და სხვ., 2011; მათიაშვილი, 2013; კაჭარავა და სხვ., 2016; კაჭარავა და სხვ., 2018; კაჭარავა და სხვ., 2020]); IV. ძვ.წ. III საუკუნის შუა ხნები - ძვ.წ. I საუკუნის შუა ხნებამდე, გამოვლენილია ამ პერიოდის თავდაცვითი კედლები, ტაძრები, საკურთხევლები, სამსხვერპლოები, ბრინჯაოს ქანდაკებების ჩამოსასხმელი სახელოსნო, ბრინჯაოს ქანდაკებები ფრაგმენტები, განძი (ტაძრის ინვენტარი),

კულტურული ფენები და სხვ. (ბიბლიოგრაფია იხილე [არქეოლოგიური გათხრები, 1996, №№ 39, 44, 61, 76, 82, 91, 111, 130-131, 168, 210, 259, 297, 330, 346, 349-350, 364, 375, 385, 410, 414, 433, 437-438, 443-444, 449, 456, 462, 464, 467, 483; მათიაშვილი, 2013; ახვლედიანი და სხვ., 2022]). ძვ.წ. I მეორე ნახევრიდან ის, როგორც მნიშვნელოვანი ცენტრი წყვეტს არსებობას. შემდგომ ბორცვზე ცხოვრებაა არაა ინტენსიური და არქეოლოგიური მასალებიც ფრაგმენტულია. ნაქალაქარზე დადასტურებულია; გვიანანტიკური სამარხი [Хоштариа, 1979, გვ. 133-134; Stroszesk, 1994; ლორთქიფანიძე, 1996, გვ. 31], მონეტები [დუნდუა და სხვ., 1977, გვ. 127, 151-152] და კერამიკა [კაჭარავა და სხვ., 1979]; ადრეული შუა საუკუნეების ეკლესია, უინვენტარო სამარხები [Такаишвили, 1927, გვ. 109] და ქვევრების გამოსაწვავი ქურა [ლორთქიფანიძე, 1996, გვ. 31]; განვითარებული შუა საუკუნეების სამარხი [Хоштариа, 1979, გვ. 116-118], მოჭიქული კერამიკის და მინის სამაჯურების ფრაგმენტები [Лордкипанидзе და სხვ., 1987; ლორთქიფანიძე, 1996, გვ. 31].

ქალაქ ვანში, ადმინისტრაციული ცენტრის ჩრდილო-აღმოსავლეთით მისგან დაახლოებით 1 კილომეტრში, მდინარე რიონსა და მის შენაკად მდინარე სულორს შორის მოქცეულ ვაკეზე - „საყანჩიას ველზე“ (სოფტექნიკის და დვალიშვილის ეზოები, გალაქტიონ ტაბიძის, რაფიელ ერისთავის (ყოფილი კოღუაშვილის ქუჩა) და ბაგრატის ქუჩები) არქეოლოგიური სამუშაოებით (1974-1976 წლებში), გამოვლენილია ძვ. წ. III-II საუკუნეების ნამოსახლარი (დაახლოებით 20-25 ჰექტარზე გავრეცლებული), რომელიც ძველი ვანის სამეურნეო უბანს წარმოადგენდა. აქ გამოვლენილია საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ნაშთები, სახლებს შორის მოკირწყლული ვიწრო ქუჩები, ადგილობრივი თიხის ნაწარმი (კრამიტები, ქვევრები, დერგები, ამფორები, ქოთნები, ქვაბები, ტაფები, დოქები, ჯამები, თეფშები, თასები, სასმისები, ლუთერიები, იხთიები, სანელსაცხებლე, ჭრაქი , კანთაროსი, საწაფები, კვირისთავები, ტერაკოტული ფიგურები და მათი დასამზადებელი ყალიბები), იმპორტული წარმოების თიხის ნაწარმი (სხვადასხვა საწარმოო ცენტრში დამზადებული ამფორები,

შავლაკიანი - თასები, ლანგრები, თეფშები, სათევზე ლანგრები, კანთაროსები; ყავისფერლაკიანი თასი, ჯამი; წითელლაკიანი კანთაროსები, თეფშები; ლუთერიები, ლაგინოსები, სანელსაცხებლეები, ჭრაქები, მანგალი), მონეტა (ლისიმაქეს ოქროს სტატერი), ლითონის, ქვის და მინის ნივთები, სამარხი (ძვ.წ. II ს)[ლიჩელი,1977; ლიჩელი, 199].

ქალაქ ვანში, ადმინისტრაციული ცენტრის ჩრდილო-დასავლეთით მისგან დაახლოებით 1,5 კილომეტრში, მომაღლო ბორცვზე, ვანი-ბაღდათის ეპარქიის რეზიდენციის ტერიტორიაზე (თავისუფლების ქუჩის V ჩიხი) მდებარეობს განვითარებული შუა საუკუნეების სებეკას ციხე. შემორჩენილია ძლიერ დანგრეული ცალკეული კედლის ფრაგმენტი, აქვე შეიმჩნევა მცირე ზომის ეკლესიის ნანგრევები (განვითარებული შუა საუკუნეების)[ბერაძე, 1979, გვ. 31-32].

ქალაქ ვანში, ადმინისტრაციული ცენტრის აღმოსავლეთით, მისგან დაახლოებით 2,5-3 კილომეტრში, ე.წ. „მშვიდობის გორაზე“, გივი ყიფიანის სახელობის პარკის ტერიტორიაზე მდებარეობს განვითარებული შუა საუკუნეების საჩინოს ციხის ნანგრევები. შემორჩენილაი ციხესიმაგრის ნაშთები, კოშკის საფუძველი და სხვა ნაგებობათა ნაშთები [ბერაძე, 1979, გვ. 31].

ქალაქ ვანის ტერიტორიაზე ნაქალაქარის მიმდებარედ ნაპოვნია: 1. რაჟდენ ახვლედიანის ეზოში (გიორგაძის ქუჩა) საბეჭდავები სკარაბოიდის და თეთრი ქვის (გამოსახულებებით), ოქროს სამაჯური (1947 წლის დავთარში ინვ. № 4-5, 467); ვერცხლის ორი მონეტა (1951 წლის დავთარში ინვ. № 49-50), თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1952 წლის დავთარში ინვ. № 15-16), მონეტა არაბული წარწერით და ოქროს ფირფიტის ფრაგმენტი (1960 წლის დავთარში ინვ. № 83-85); 2. კლიმენტი მიქაძის ეზოში (გორგასლის ქუჩა) თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1947 წლის დავთარში ინვ. № 15-17), თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (1963 წლის დავთარში ინვ. № 149); 3. ბეგლარ და მარიამ ახვლედიანის ეზოში (გიორგაძის ქუჩა) ნამგლისპირის ჩასართი კაჟის (1951 წლის დავთარში ინვ. № 70), ქვის სატეხისმაგვარი იარაღი და

თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები(1952 წლის დავთარში ინვ. № 52); 4. ზაურ ფოფხაის ეზოში (გიორგაძის ქუჩა) ოქროს ვარდულები და თიხის საწაფი (1952 წლის დავთარში ინვ. №№ 52-53), ბრინჯაოს სამაჯური, მინის მძივები, ქვის ნივთი, ბრინჯაოს სამაჯურის ფრაგმენტი (1957 წლის დავთარში ინვ. № 570), თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (1959 წლის დავთარში ინვ. №№ 12-46), თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (1963 წლის დავთარში ინვ. №№ 73); 5. ნინა სიმონეიშვილი ზოში (ლორთქიფანიძის ქუჩა) საწაფი თიხის და ჭურჭლის ფრაგმენტები (1958 წლის დავთარში ინვ. №№ 9, 11, 56, 566), დამღიანი კრამიტის ფრაგმენტი (1959 წლის დავთარში ინვ. №№ 88), შუბისპირი რკინის, საწაფი თიხის და კოვზი (1961 წლის დავთარში ინვ. №№ 60-62), თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (1961 წლის დავთარში ინვ. №№ 60-62), კოლხური თეთრი (1966 წლის დავთარში ინვ.№ 86), ათენური დრაქმა, (1978 წლის დავთარში ინვ. № 1122); 6. მუზეუმის ტერიტორიაზე (ლორთქიფანიძის ქუჩა), მონეტა რუსული 1857 წლის (1957 დავთარში ინვ. № 662), ბრინჯაოს რგოლის ფრაგმენტი (1959 დავთარში ინვ. № 135).

ქალაქ ვანის ტერიტორიაზე ნაპოვნია: 1. გია ჭანტურიას ქუჩის მიდამოებში შემთხვევით მიწის სამუშაოების დროს ანტიკური ხანის ვერცხლის ნივთი (ჭანტურიას № 43), კერამიკა, ბეჭდის თვალი და ბრინჯაოს სამაჯურის ფრაგმენტი; 2. შაფთაი ცურის ქუჩის მიდამოებში (№ 7-ის ტერიტორიაზე) შემთხვევით მშენებლოების დროს ნაპოვნია ანტიკური ხანის შავლაკიანი ჭურჭლის, ბრტყელი კრამიტის და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები; 9. ბარათაშვილის ქუჩაზე ბრინჯაოს სამაჯურის ფრაგმენტი, კოლური თეთრები (1961 წლის დავთარში ინვ. № 316); 3. დავით ალავიძის ეზოში (ბარათაშვილის ქუჩა), ოქროს სამ ერთმანეთზე მირჩილულ ღრუ მძივებზე ფეხებზე დგას ფირფიტისგან დამზადებული ხბო (1961 დავთარში ინვ. № 656); 4. ედუარდ კალაძის ეზოში (ბარათაშვილის ქუჩა), შავლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტები (1958 წლის დავთარში ინვ. № 478); 5. ადგილ ჩინთოურაზე (ს. ჩახუნაშვილის ქუჩა) 1946 წელს სამი მონეტა (კოლხური სტატერი ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი, ძვ. I ს.

და მითრიდატე ევპატორის ტეტრადრაქმა (ძვ.წ. 120-63 წწ.) [ს. ხარაბაძე, 2008, გვ. 20-21, ტაბ. XVIII, 11-12]; 6. ადგილ კეჭინარაზე (კეჭინარას ადგილობრივი მოსახლეობა ეძახის ქალაქ ვანის ერთ უბანს, იგი ჩრდილო დასავლეთიდან ეკვრის ახვლედიანების გორას, ეს ტერიტორია ადრე ეკუთვნოდა სოფ. ქვედა ციხესულორს, ამჟამინდელი აკაკი გიორგაძის ქუჩა). აქ დადასტურებულია წინარეანტიკური და ანტიკური ხანის მძლავრი კულტურული ფენები, ანტიკური ხანის ქვევრსამარხები და ნუმიზმატიკური მასალა, ქვის ხანის ცალკეული არტეფაქტები და შუა საუკუნეების მონეტების განძი [ს. ხარაბაძე, 2008, გვ. 40-41].

2. მეორე ეტაპის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში

საკანალიზაციო სისტემის მშენებლობის საპროექტო ტერიტორია გადის ქალაქის ცენტრალურ და შიდა გზებზე, უმეტესწილად გზის ცენტრალურ ნაწილში. საპროექტო დერეფნის (მილების ჩასადები თხრილის) სიგანე პროექტით 1.2 მ-ია, სიღრმე კი 1.5 მ-დან 5 მ-მდე (რელიეფის თავისებურებების და საინჟინრო საჭიროებების მიხედვით).

არქეოლოგიური სადაზვერვო თხრილები განთავსდა პროექტით გათვალისწინებული მილის ჩასადები დერეფნის განსაზღვრულ მონაკვეთებში. ამ ადგილების ნიშნულები ექსპედიციას მოაწოდა სამშენებლო კომპანიის გეოდეზისტმა. იქიდან გამომდინარე, რომ მილის ჩასადები სამშენებლო დერეფანი მდებარეობს საავტომობილო გზებზე, სამუშაოების დაწყებამდე ხდებოდა მოსახლეობის ინფორმირება, გზის გადაკეტვა, და სამუშაო არეალის შემოსაზღვრა. პირველ ეტაპზე, მშენებელი კომპანიის მუშები ბეტონსაჭრელი ხელსაწყოებით ჭრიდნენ ბეტონის (ზოგიერთ შემთხვევაში ასფალტის) გზის საფარს, რის შემდეგაც ჩვენი მეთვალყურეობის ქვეშ მძიმე ტექნიკა ხსნიდა მოჭრილი გზის საფარს. მძიმე ტექნიკით იხსნებოდა გზის ზედა, ასფალტირებული (ან ბეტონის) საფარი, მისი საფუძველი - ქვა-ღორღის ფენა და ნაყარი ფენები. იმ შემთხვევაში, თუ თხრილში კულტურული ფენა არ ვლინდებოდა და ნაყარი ფენის ქვეშ თავს იჩენდა დედაქანი, ჩვენ მიერ იწმინდებოდა ჭრილები, ხდებოდა ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია, აზომვა და თხრილების რეკულტივაცია (სურ. 5-9). ექსპედიციის ფარგლებში სულ გაიჭრა 31 სადაზვერვო თხრილი (სურ. 10). საკვლევი ტერიტორიის რუკები, სამუშაოების ამსახველი ფოტომასალა და გეგმები მოცემულია დანართი 1-ში, ხოლო სადაქვერვო თხრილების დეტალური კოორდინატები დანრთი 2-ში.

არქეოლოგიური სადაზვერვო თხრილების აღწერა მათი ლოკაციების მიხედვით მოცემულია ქვემოთ (თხრილების ნუმერაცია გამჭოლია).

ლოკაცია I - ნიკოლოზ ბარათაშვილის I ჩიხი. 4 სადაზვერვო თხრილი (სურ. 11-12):

თხრილი № 1 (2X1X1,6 მ) - 0.3 მ. სიმძლავრის გზის საფარისა და მისი ქვა-ღორღიანი საფუძვლის ქვეშ განთავსებულია 0.5 მეტრის სიმძლავრის რუხი ფერის ნაყარი თიხნრი ფენა, რომელიც დევს გრუნტზე - ყვითელი ფერის სტერილურ თიხნარზე (სურ. 13-14). რუხი ფერის ნაყარ თიხნრ ფენაში აღმოჩნდა, სავარაუდოდ, ანტიკური ხანის ადგილობრივი თიხის ჭურჭლის ძირ-კედლის ფრაგმენტი (სურ. 15).

თხრილი № 2 (2X1,2X0,8 მ) - 0.3 მ. სიმძლავრის გზის საფარის და მისი ღორღოვანი საფუძვლის ფენა დევს გრუნტზე - ყვითელ თირის დედაქანზე (სურ. 16).

თხრილი № 3 (2X1X1,3 მ) - 0,4 მ. სიმძლავრის გზის საფარის და მისი ქვა-ღორღიანი საფუძვლის ფენა დევს გრუნტზე - ყვითელი ფერის თირის დედაქანზე (სურ. 17).

თხრილი № 4 (2X1X1,4 მ) - 0.3 მ. სიმძლავრის გზის საფარის და მისი ქვა-ღორღიანი საფუძვლის ფენა დევს 0.5 მ. სიმძლავრის ნაყარი ფენაზე, რომელიც შეიცავს საბჭოთა პერიოდის სამშენებლო და სხვდასხვა სახის ნარჩენებს (აგურების, რკინის, მინის და ალუმინის ნივთების ფრაგმენტები). აღნიშნული ნაყარი ფენა დევს გრუნტზე - ყვითელ თიხნარ ფენაზე (სურ. 18).

ლოკაცია II და III - საყანჩიას უბანი (გ. ტაბიძისა და რ. ერისთავის ქუჩები, სასაფლაოს ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთი). 23 სადაზვერვო თხრილი. (სურ. 19-21)

თხრილი № 5 (3X1,2X1,8 მ) - გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა. 0.3 მ. სიმძლავრის გზის საფარისა და მისი ქვა-ღორღიანი საფუძვლის ფენას მოყვება 1.5 მ. სიმძლავრის ღორღოვანი ნაყარი ფენა (შეიცავს საბჭოთა პერიოდის სამშენებლო ნარჩენებს - აგურების, რკინის და ალუმინის ნივთების ფრაგმენტებს), რომელიც დევს გრუნტზე - ნამდინარევი ხრეშის ფენაზე. შურფში, ზედაპირიდან 0.7 მ-ზე, გამოჩნდა გასული საუკუნის, ამჟამად უფუნქციო წყალსადენის რკინის მილი; ხოლო 1.70 მ-ზე დაფიქსირდა ამავე პერიოდის აზბესტის ამჟამად უფუნქციო საკანალიზაციო მილი (ადგილობრივთა ინფორმაციით მას არასდროს უფუნქციონერია, საბჭოთა კაშირის დაშლის გამო მშენებლობა შეწყვეტილა) (სურ. 22).

თხრილი № 6 (3X1,2X1,85 მ) - გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა. 0.3 მ. სიმძლავრის გზის საფარისა და მისი ქვა-ღორღიანი საფუძვლის ფენას მოყვება 0.3 მ. სიმძლავრის ღორღოვანი ნაყარი ფენა (შეიცავს საბჭოთა პერიოდის სამშენებლო ნარჩენებს - აგურების, რკინის და ალუმინის ნივთების ფრაგმენტებს), რომელიც დევს გრუნტზე - ნამდინარევი ხრეშის ფენაზე (სურ. 23).

თხრილი № 7 (3X1,2X1,7 მ) - გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა. 0.3 მ. სიმძლავრის გზის საფარისა და მისი ქვა-ღორღიანი საფუძვლის ფენას მოყვება 1.4 მ. სიმძლავრის ღორღოვანი ნაყარი ფენა, რომელიც შეიცავს საბჭოთა პერიოდის სამშენებლო ნარჩენებსა (აგურების, რკინის და ალუმინის ნივთების ფრაგმენტები) და ელინისტური ხანის ადგილობრივი და იმპორტული თიხის ნაწარმის ფრაგმენტებს (სურ. 24-25). ამ ფენაში ზედაპირიდან 0.9 მ-ის სიღრმეზე დადასტურდა ელინისტური ხანის იმპორტული შავლაკიანი სათევზე ლანგრის ფრაგმენტი (სურ. 26), ეს ფენა დევს გრუნტზე - ნამდინარევი ხრეშის ფენაზე.

თხრილი № 8 (3X1,2X1,7 მ) - გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა. 0.3 მ. სიმძლავრის გზის საფარისა და მისი ქვა-ღორღიანი საფუძვლის ფენას მოყვება 1მ. სიმძლავრის ღორღოვანი ნაყარი ფენა (სურ. 27), რომელიც შეიცავს საბჭოთა პერიოდის სამშენებლო ნარჩენებსა (აგურების, რკინის და ალუმინის ნივთების ფრაგმენტები) და ელინისტური ხანის ადგილობრივი და იმპორტული თიხის ნაწარმის ფრაგმენტებს, მათ შორისაა სინოპური ამფორის ქუსლი (სურ. 28-29), ეს ფენა დევს გრუნტზე - ნამდინარევი ხრეშის ფენაზე.

თხრილი № 9 (3X1,2X1,7 მ) - გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა. 0.3 მ. სიმძლავრის გზის საფარისა და მისი ქვა-ღორღიანი საფუძვლის ფენას მოყვება 0.9 მ. სიმძლავრის ღორღოვანი ნაყარი ფენა, რომელიც შეიცავს საბჭოთა პერიოდის სამშენებლო ნარჩენებს (აგურების, რკინის და ალუმინის ნივთების ფრაგმენტები). აქ ზედაპირიდან 0.7 მ-ის სიღრმეზე გამოჩნდა საბჭოთა პერიოდის უფუნქციო წყლის რკინის მილი. ეს ფენა დევს გრუნტზე - ნამდინარევი ხრეშის ფენაზე (სურ. 30).

თხრილი № 10 (3X1,2X1,7 მ) - გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა. 0.3 მ. სიმძლავრის გზის საფარისა და მისი ქვა-ღორღიანი საფუძვლის ფენას მოყვება 0.7 მ. სიმძლავრის ღორღოვანი ნაყარი ფენა, რომელიც შეიცავს საბჭოთა პერიოდის სამშენებლო ნარჩენებს (აგურების, რკინის და ალუმინის ნივთების ფრაგმენტები). ამ ფენაში, ზედაპირიდან 0.8 მ-ის სიღრმრზე გამოჩნდა საბჭოთა პერიოდის უფუნქციო წყლის რკინის მილი. ეს ფენა დევს გრუნტზე - ნამდინარევი ხრეშის ფენაზე (სურ. 31).

თხრილი № 11 (3X1,2X1,8 მ) - გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა. 0,3 მ. სიმძლავრის გზის საფარისა და მისი ქვა-ღორღიანი საფუძვლის ფენას მოყვება 0.7 მ. სიმძლავრის ღორღოვანი ნაყარი ფენა, რომელიც შეიცავს საბჭოთა პერიოდის სამშენებლო ნარჩენებს (აგურების, რკინის და ალუმინის ნივთების ფრაგმენტები). ეს ფენა დევს გრუნტზე - ნამდინარევი ხრეშის ფენაზე (სურ. 32).

თხრილი № 12 (3X1,2X0,9 მ) - გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა, I ჩიხი. 0.3 მ. სიმძლავრის გზის საფარისა და მისი ქვა-ღორღიანი საფუძვლის ფენას მოყვება 0.3 მ. სიმძლავრის ღორღოვანი ნაყარი ფენა, რომელიც შეიცავს საბჭოთა პერიოდის სამშენებლო ნარჩენებს (აგურების, რკინის და ალუმინის ნივთების ფრაგმენტები). ეს ფენა დევს გრუნტზე - ნამდინარევი ქვიშის და ხრეშის შრეების ფენაზე (სურ. 33).

თხრილი № 13 (3X1,2X1,8 მ) - გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა, I ჩიხი.0,3 მ. სიმძლავრის გზის საფარისა და მისი ქვა-ღორღიანი საფუძვლის ფენას მოყვება 0,3 მ. სიმძლავრის ღორღოვანი ნაყარი ფენა, რომელიც შეიცავს საბჭოთა პერიოდის სამშენებლო ნარჩენებს (აგურების, რკინის და ალუმინის ნივთების ფრაგმენტები), ეს ფენა დევს გრუნტზე - ნამდინარევი ქვიშის და ხრეშის შრეების ფენაზე (სურ. 34).

თხრილი № 14 (3X1,2X1,6 მ) - გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა, I ჩიხი. 0,3 მ. სიმძლავრის გზის საფარისა და მისი ქვა-ღორღიანი საფუძვლის ფენას მოყვება 0.3 მ. სიმძლავრის ღორღოვანი ნაყარი ფენა, რომელიც შეიცავს საბჭოთა პერიოდის სამშენებლო ნარჩენებს (აგურების, რკინის და ალუმინის ნივთების ფრაგმენტები). ეს ფენა დევს გრუნტზე - ნამდინარევი ქვიშის და ხრეშის შრეების ფენაზე (სურ. 35).

თხრილი № 15 (3X1,2X1,6 მ) - გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა, II ჩიხი. 0.3 მ. სიმძლავრის გზის საფარისა და მისი ქვა-ღორღიანი საფუძვლის ფენას მოყვება 0.7 მ. სიმძლავრის ღორღოვანი ნაყარი ფენა, რომელიც შეიცავს საბჭოთა პერიოდის სამშენებლო ნარჩენებს (აგურების, რკინის და ალუმინის ნივთების ფრაგმენტები), რომელიც თავის მხრივ დევს 0.25-0.3 მ. სიმძლავრის ელინისტური ხანის კულტურულ ფენაზე. ელინისტური ხანის კულტურული ფენის ქვეშ წამმორდგენილია გრუნტი - ნამდინარევი ხრეშის ფენა (სურ. 36-38).

თხრილი № 16 (3X1,2X1,5 მ) - გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა, II ჩიხი. 0.4 მ. სიმძლავრის გზის საფარისა და მისი ქვა-ღორღიანი საფუძვლის ფენას მოყვება 0.6 მ. სიმძლავრის ღორღოვანი ნაყარი ფენა, რომელიც შეიცავს საბჭოთა პერიოდის სამშენებლო

ნარჩენებს (აგურების, ლითონის ნივთების ფრაგმენტები). ეს ფენა დევს 0.2 მ. სიმძლავრის შლამიან დანალექ თიხნარ და ღორღოვან ფენაზე, რომელსაც ქვემოთ მოყვება 0.3 მ. სიმძლავრის ელინისტური ხანის კულტურულ ფენა. არნიშნული კულტურული ფენის ქვეშ წარმოდგენილია გრუნტი - ნამდინარევი ხრეშის ფენა (სურ. 39-42). კულტურული ფენა შეიცავს კოლხური (ამფორის, ქვევრის, ტერაკოტის, ქოთნის, დერგის, კრამირის და სხვ.) და სხვადასხვა საწარმო ცენტრის იმპორტული თიხის ნაწარმის ფრაგმენტებს (ამფორის, შავლაკიანი ჯამების და სხვ.) (სურ. 43).

თხრილი № 17 (2X1,2X1,6 მ) - გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა, II ჩიხი. მშენებლების თხოვნით, იმის გასარკვევად ვრცელდებოდა თუ არა კულტურული ფენა გზის სიგანეზე, სადაზვერვო თხრილი გაიჭრა № 16 თხრილის პერპენდიკულარულად. 0.3 მ. სიმძლავრის გზის საფარისა და მისი ქვა-ღორღიანი საფუძვლის ფენას მოყვება თხრილის სამხრეთ ნაწილში - 0,55 მ, ხოლო ჩრდილო ნაწილში - 0,9 მ. სიმძლავრის ღორღოვანი ნაყარი ფენა. იგი დევს 0.3 მ-ის სიმძლავრის ელინისტური ხანის კულტურულ ფენაზე, რომელიც თავის მხრივ დევს გრუნტზე - ნამდინარევი ხრეშის ფენაზე (სურ. 44). კულტურული ფენა შეიცავს კოლხური (ამფორის, კრამიტის და სხვ.) და სხვადასხვა ცენტრის იმპორტული (ამფორის, სანელსაცხებლის და სხვ) თიხის ნაწარმის ფრაგმენტებს (სურ. 45).

თხრილი № 18 (3X1,2X1,7 მ) - გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა, II ჩიხი. 0.3 მ. სიმძლავრის გზის საფარისა და მისი ქვა-ღორღიანი საფუძვლის ფენას მოყვება 0.9 მ. სიმძლავრის ღორღოვანი ნაყარი ფენა, რომელიც შეიცავს საბჭოთა პერიოდის სამშენებლო ნარჩენებსა (აგურების, რკინის და ალუმინის ნივთების ფრაგმენტები) და ელინისტური ხანის თიხის ნაწარმის მცირე რაოდენობის უსახო ფრაგმენტებს. ეს ფენა დევს გრუნტზე - ნამდინარევი ხრეშის ფენაზე (სურ. 46).

თხრილი № 19 (3X1,2X1,7 მ) - გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა, II ჩიხი. 0.3 მ. სიმძლავრის გზის საფარისა და მისი ქვა-ღორღიანი საფუძვლის ფენას მოყვება 0.9 მ. სიმძლავრის

ღორღოვანი ნაყარი ფენა, რომელიც შეიცავს საბჭოთა პერიოდის სამშენებლო ნარჩენებსა (აგურების, რკინის და ალუმინის ნივთების ფრაგმენტები) და ელინისტური ხანის თიხის ნაწარმის მცირე რაოდენობის უსახო ფრაგმენტებს. ეს ფენა დევს გრუნტზე - ნამდინარევი ხრეშის ფენაზე (სურ.47).

თხრილი № 20 (3X1,2X1,8 მ) - გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა, II ჩიხი. 0.3 მ. სიმძლავრის გზის საფარისა და მისი ქვა-ღორღიანი საფუძვლის ფენას მოყვება 0.3 მ. სიმძლავრის ღორღოვანი ნაყარი ფენა, რომელიც შეიცავს საბჭოთა პერიოდის სამშენებლო ნარჩენებს (აგურების, რკინის და ალუმინის ნივთების ფრაგმენტები). ეს ფენა დევს გრუნტზე - ნამდინარევი ხრეშის ფენაზე (სურ. 48).

თხრილი № 21 (3X1,2X1,9 მ) - გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა, II ჩიხი. 0,3 მ. სიმძლავრის გზის საფარისა და მისი ქვა-ღორღიანი საფუძვლის ფენას მოყვება გრუნტი - ნამდინარევი ხრეშის და ქვიშის შრეებიანი ფენა (სურ. 49).

თხრილი № 22 (3X1,2X1,9 მ) - გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა, II ჩიხი. 0.3 მ. სიმძლავრის გზის საფარისა და მისი ქვა-ღორღიანი საფუძვლის ფენას მოყვება გრუნტი - ნამდინარევი ხრეშისა და ქვიშის შრეებიანი ფენა. თხრილში 1.8 მ-ის სიღრმეზე ამოვიდა გრუნტის წყლები (სურ. 50).

თხრილი № 23 (2X1X1,9 მ) - თანამედროვე სასაფლაოზე გამავალი გზა (სასაფლაოს გზის ორივე მხარეს თანამედროვე საფლავებია გამართული. სასაფლაო მოქმედია, ამიტომ თხრილების გაჭრა აქ მოხერხდა მხოლოდ გზის ბოლოში და გზის დასაწყისში). 0.4 მ. სიმძლავრის ჰუმუსნარევ ღორღოვან ფენას ქვეშ მოყვება გრუნტი - ნამდინარევი ხრეშის და ქვიშის შრეებიანი ფენა (სურ. 51). ზედა, ჰუმუსნარევ ფენაში ურევია ელინისტური ხანის თიხის ნაწარმის ფრაგმენტები, რომელთა შორისაა სინოპური ამფორების ფრაგმენტებიც (სურ. 52).

თხრილი № 24 (3,5X1X0,8 მ) - თანამედროვე სასაფლაოზე გამავალი გზის დასაწყისი. 0.4 მ. სიმძლავრის გზის საფარისა და მისი ქვა-ღორღიანი საფუძვლის

ფენას მოყვება 0.3 მ. სიმძლავრის რუხი ფერის თიხნარ-ღორღოვანი ფენა, რომელსაც მოსდევს 0.2 მ სიმძლავრის ელინისტური ხანის კულტურული ფენა, რომელის თავის მხრივ დევს გრუნტზე - ნამდინარევი ხრეშის ფენაზე (სურ. 53-54). კულტურული ფენა შეიცავს ელინისტური ხანის ადგილობრივი და იმპორტული თიხის ნაწარმის ფრაგმენტებს (სურ. 55).

თხრილი № 25 (3X1,2X1,7 მ) - რაფიელ ერისთავის ქუჩა. 0.3 მ. სიმძლავრის გზის საფარისა და მისი ქვა-ღორღიანი საფუძვლის ფენას მოყვება 0.7 მ. სიმძლავრის ღორღოვანი ნაყარი ფენა, რომელიც შეიცავს საბჭოთა პერიოდის სამშენებლო ნარჩენებს (აგურების, რკინის და ალუმინის ნივთების ფრაგმენტები). ეს ფენა დევს გრუნტზე - ნამდინარევი ქვიშის ფენაზე (სურ. 56).

თხრილი № 26 (3X1,2X1,8 მ) - რაფიელ ერისთავის ქუჩა. 0.3 მ. სიმძლავრის გზის საფარისა და მისი ქვა-ღორღიანი საფუძვლის ფენას მოყვება 0.6 მ. სიმძლავრის ღორღოვანი ნაყარი ფენა, რომელიც შეიცავს საბჭოთა პერიოდის სამშენებლო ნარჩენებს (აგურების, რკინის და ალუმინის ნივთების ფრაგმენტები). ამავე ფენაში 0.5 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა ელინისტური ხანის ბრტყელი კრამიტის ფრაგმენტი. აღნიშნული ფენა დევს გრუნტზე - ნამდინარევი ხრეშის ფენაზე (სურ. 57).

თხრილი № 27 (3X1,2X1,8 მ) - რაფიელ ერისთავის ქუჩა. 0.3 მ. სიმძლავრის გზის საფარისა და მისი ქვა-ღორღიანი საფუძვლის ფენას მოყვება 0.7 მ. სიმძლავრის ღორღოვანი ნაყარი ფენა, რომელიც შეიცავს საბჭოთა პერიოდის სამშენებლო ნარჩენებს (აგურების, რკინის და ალუმინის ნივთების ფრაგმენტები). აქვე 0.5 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა ანტიკური ხანის ბრტყელი კრამიტის ფრაგმენტი, ეს ფენა დევს გრუნტზე - ნამდინარევი ხრეშის და დიდი ზიმის რიყის ქვების ფენაზე (სურ. 58).

ლოკაცია IV. აკაკი გიორგაძის ქუჩა, I შესახვევი. 4 სადაზვერვო თხრილი (სურ. 59-60)

თხრილი № 28 (2,2X1,3X1,6 მ) – 0.3 მ. სიმძლავრის გზის საფარისა და მისი ქვა-ღორღიანი საფუძვლის ფენის ქვეშ მდებარეობს 0.3 მ. სიმძლავრის ყვითელი შლამიანი დანალექისა და ნაშალი თირის ქვიშნარიანი კულტურული ფენა. აღნიშნული კულტურული ფენის ქვეშ კი 0.5 მ. სიმძლავრის მოყავისფრო-მოშავო ფერისა და 0.3 მ. სიმძლავრის ყვითელი თიხნარის კულტურული ფენებია, თიხის ბათქაშისა და ნახშირის ნამცეცებიანი ჩანართებით. ეს ყოველივე დევს გრუნტზე - თირზე (სურ. 61-63). სამივე კულტურული ფენა შეიცავს ანტიკური ხანის ადგილობრივი და იმპორტული თიხის ნაწარმის ფრაგმენტებს (სურ. 64).

თხრილი № 29 (3X1,4X1,3 მ) – 0.3 მ. სიმძლავრის გზის საფარისა და მისი ქვა-ღორღიანი საფუძვლის ფენას სიღრმეში მოყვება 0.2 მ. სიმძლავრის ნაყარი ფენა, ღორღისა და ნაშალი თირის მინარევებით. ეს ფენა შეიცავს თანამედროვე სამშენებლო ნარჩენებსა და ანტიკური ხანის ბათქაშებისა და კერამიკის მცირე რაოდენობის ფრაგმენტებს. ნაყარი ფენა დევს ყვითელ სტერილურ თიხნარზე (სურ. 65-66).

თხრილი № 30 (2,5X1,4X1 მ) – 0.6 მ. სიმძლავრის გზის საფარის ღორღოვანი და თანამედროვე სამშენებლო ნარჩენების ნაყარი ფენები დევს ყვითელ სტერილურ თიხნარ დედაქანზე (სურ. 67).

თხრილი № 31 (2X1X1,45 მ) – 0.35 მ. სიმძლავრის ჰუმუსნარევი თიხნარი ფენა დევს ყვითელ სტერილურ თიხნარ დედაქანზე. ჰუმუსნარევ ფენაში დადასტურდა ანტიკური ხანის კრამიტის ფრაგმენტი (სურ. 68).

აღსანიშნავია, რომ გიორგაძის ქუჩის ცალკეულ მონაკვეთებზე, მაწყერსაშიშ ადგილებში, ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო, არქეოლოგიური კვლევა და სადაზვერვო თხრილების გაჭრა ვერ მოხერხდა.

3. დასკვნა და რეკომენდაციები

დასკვნა

წინა თავში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე, დასკვნის სახით უნდა ითქვას:

1. ექსპედიციის მიერ შესწავლილი ლოკაციებიდან კულტურული ფენები დადასტურდა ლოკაცია II-III-ზე (საყანჩიას უბანი) და ლოკაცია IV-ზე (გიორგაძის ქ., კეჭინარა). კულტურული ფენები არ გამოვლენილა ლოკაცია I-ზე (ნ. ბარათაშვილის ჩიხი).

2. უძრავი კულტურული ფენები დადასტურდა საყანჩიას ნამოსახლარის მიმდებარედ, გალაქტიონ ტაბიძის ქუჩის II ჩიხში (თხრილი №№ 15-17) (სურ. 69). აქ იგი შემორჩენილია, დაახლოებით, 50 მეტრის სიგრძეზე.

3. უძრავი კულტურული ფენა ასევე დადასტურდა საყანჩიაზე, სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე, სასაფლაოს გზის დასაწყისში. ამ გზაზე მეტი თხრილების გაჭრის საშუალება არ მოგვეცა, ვინაიდან სასაფლაო მოქმედია, ხოლო გზა ვიწროა და გზის ორივე მხარეს საფლავებია განლაგებული.

4. დარღვეული კულტურული ფენები დადასტურდა გალაქტიონ ტაბიძის ქუჩაზე, რაც გამოწვეულია აქ საბჭოთა პერიოდის წყლის და საკანალიზაციო სისტემის მშენებლობით. ეს სისტემები გადის გზის შუა ნაწილში და ემთხვევა ახალ საპროექტო დერეფანს. ამ ქუჩაზე სამშენებლო დერეფნის მდებარეობის ან/და ტრაექტორიის ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს უძრავი/ხელუხლებელი კუტურული ფენების გამოვლენა და დაზიანება.

5. კულტურული ფენები დადასტურდა ლოკაცია IV-ზე (კეჭინარა) გიორგაძის ქუჩის I შესახვევში (სურ. 59, თხრილი №28). თუმცა, არეალის სრული კვლევა მეწყერსაშიში ზონების გამო ვერ მოხერხდა.

რეკომენდაციები

საპროექტო ტერიტორიაზე ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ განხორციელებული მე-2 ფაზის არქეოლოგიური გათხრების შედეგების საფუძველზე:

1. არქეოლოგიური თვალსაზრისით სენსიტიური ოთხი ლოკაციიდან არქეოლოგიური ნაშთები არ დაფიქსირდა ლოკაცია I-ზე (ბარათაშვილის I ჩიხი). შესაბამისად, აქ დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდეს გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში.

2. არქეოლოგიური თვალსაზრისით სენსიტიური ოთხი ლოკაციიდან არქეოლოგიური ნაშთები დაფიქსირდა II, III და IV ლოკაციებზე. შესაბამისად, ამ ლოკაციებზე აუცილებელია დამატებითი კვლევების წარმოება ან რეკომენდაციების გათვალისწინება.

3. საყანჩიას უბანზე (ლოკაცია II-III), საყანჩიას ნამოსახლარის მიმდებარედ, გალაქტიონ ტაბიძის ქუჩის II ჩიხში (თხრილი №№ 15-17), სამშენებლო დერეფნად მონიშნულ ლოკაციაზე, დაახლოებით 50 მეტრის მანძილზე შემორჩენილია უძრავი კულტურული ფენა. იქიდან გამომდინარე, რომ საკანალიზაციო სისტემის სამშენებლო დერეფნის გაჭრა აღნიშნული კულტურული ფენების დაზიანების გარეშე შეუძლებელია, აუცილებელ რეკომენდაციად მიგვაჩნია ამ არეალის შესწავლა მე-3 ფაზის არქეოლოგიური გათხრებით.

4. საყანჩიას უბანზე გ. ტაბიძის ქუჩაზე დაფიქსირდა საბჭოთა პერიოდის სამშენებლო სამუშაოების დროს დაზიანებული კულტურული ფენები. არსებული ინფორმაციით კულტურული ფენები ვრცელდება მთელ არეალზე. შესაბამისად, სამშენებლო დერეფნის მარშუტის მცირედი ცვლილების შემთხვევაში არსებობს დიდი ალბათობა უძრავი

კულტურული ფენების აღმოჩენის და დაზიანების. აქედან გამომდინარე, აუცილებელ რეკომენდაციად მიგვაჩნია, ამ არეალზე საკანალიზაციო სისტემის გაყვანა განხორციელდეს უკვე მონიშნულ არეალზე არქეოლოგიური მონიტორინგის თანხლებით (საბჭოთა პერიოდის საკანალიზაციო-წყალსადენი სისტემის ადგილას).

5. საყანჩიას უბანზე, სასაფლაოების მიმდებარე ტერიტორიაზე დაფიქსირდა კულტურული ფენები, რომელიც ბევრად უფრო ფართო არეალზე (რამდენიმე ასეული მეტრი) ვრცელდება, ვიდრე წინა პუნქტში განხილულ ლოკაციაზე. ამ უბანზე კულტურული ფენების შესწვალა მე-3 ფაზის არქეოლოგიური გათხრებით არამართებულად მიგვაჩნია, ვინაიდან ამ ტერიტორიაზე მდებარეობს თანამედროვე სასაფლაო, რომლის მასშტაბები ინტენსიურად მზარდია. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ამ მონაკვეთზე საკანალიზაციო სისტემის განთავსება არ არის მიზანშეწონილი. აუცილებელ რეკომენდაციად მიგვაჩნია სასაფლაოების არეალზე სამშენებლო დერეფნის ტრაექტორიის ცვლილება.

6. გიორგაძის ქუჩაზე (ლოკაცია IV), ქუჩის ბოლოში საკანალიზაციო მილის სამშენებლო დერეფნის არეალზე გაჭრილ სადაზვერვო თხრილებში დაფიქსირდა კულტურული ფენა. თუმცა, ქუჩის სხვა მონაკვეთებზე, რომელიც მეწყერსაშიში ზონაა, არქეოლოგიური კვლევის ჩატარება ვერ მოხერხდა. მოსახლეობა გზის ბეტონის საფარის მოხსნის წინააღმდეგი იყო. არქეოლოგიურად შესწავლილ არეალზე, სადაც დადასტურდა კულტურული ფენები, აუცილებელ რეკომენდაციად მიგვაჩნია მე-3 ფაზის არქეოლოგიური გათხრების ჩატარება ან ალტერნატიული მარშუტის დაგეგმვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

არქეოლოგიური გათხრები, 1996 - არქეოლოგიური გათხრები (ანალიტიკური ბიბლიოგრაფია: 1850-1995), ვანი IX, თბილისი, 1996.

ახვლედიანი და სხვ., 2022 - დ. ახვლედიანი, დ. კაჭარავა, ს. ხარაბაძე, ვანის ნაქალაქარზე 2005 და 2007 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, ძიებანი № 25, თბილისი, 2022, გვ. 5-63.

ბერაძე, 1977 - თ. ბერაძე, ვანის რაიონის ისტორიული გეოგრაფიიდან, ვანი III, თბილისი, 1977, გვ. 28-42].

დუნდუა და სხვ., 1977 - გ. დუნდუა, გ. ლორთქიფანიძე, მონეტები ვანიდან, ვანი III, თბილისი, 1977, გვ. 119-152.

კაჭარავა და სხვ., 1979 - დ. კაჭარავა, ო. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, გ. ყიფიანი, არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 91970-1977 წწ.), ვანი IV, თბილისი, 1979, გვ. 7-37.

კაჭარავა და სხვ., 2011 - დ. კაჭარავა, ს. ხარაბაძე, დაკრძალვის წესები ვანის ნაქალაქარზე ძვ.წ. IV-III საუკუნეებში, იბერია-კოლხეთი № 7, თბილისი, 2011, გვ. 22-46.

კაჭარავა და სხვ., 2016 - დ. კაჭარავა, ს. ხარაბაძე, ახლადაღმოჩენილი სამარხები ვანიდან: I ნაწილი (გაძარცული სამარვები), იბერია-კოლხეთი № 12, თბილისი, 2016, გვ. 157-193, 237-238.

კაჭარავა და სხვ., 2018 - დ. კაჭარავა, ს. ხარაბაძე, ახლადაღმოჩენილი სამარხები ვანიდან, II ნაწილი (№ 22 სამარხი), იბერია-კოლხეთი № 14, თბილისი, 2018, გვ. 5-63, 224-226.

კაჭარავა და სხვ., 2020 - დ. კაჭარავა, ს. ხარაბაძე, ახლადაღმოჩენილი სამარხები ვანიდან (№ 24 სამარხი), ძიებანი № 24, თბილისი, 2020, გვ. 6-122.

კირკიტაძე, 1958 - ნ. კირკიტაძე, ვანის რაიონის ნიადაგები და მათი აგროსაწარმოო დახასიათება მევენახეობის თვალსაზრისით, ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, თბილისი, 1958, გვ. 114-136.

ლიჩელი,1977 - ვ. ლიჩელი, ახლადაღმოჩენილი ნაქალაქარი საყანჩიას ველზე, ვანი III, თბილისი, 1977, გვ. 52-57.

ლიჩელი, 1991 - ვ. ლიჩელი, ძველი ვანის სამეურნეო უბანი, თბილისი, 1991.

ლორთქიფანიძე, 1996 - ოთ. ლორთქიფანიძე, ვანი „ოქრომრავალი“ კოლხეთის უძველესი რელიგიური ცენტრი, მაინცი, 1995(1996).

მარუაშვილი, 1964 - ლ. მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბილისი, 1964.

საბაშვილი, 1965 - მ. საბაშვილი, საქართველოს სსრ ნიადაგები, თბილისი, 1965.

საქართველოს გეოგრაფია, 2000 - ; საქართველოს გეოგრაფია, თბილისი, 2000.

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, 1966 - საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა (1966 წლის 15 იანვრისთვის), თბილისი, 1966.

სოსელია, 1981 - ო. სოსელოა, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), წიგნი - II, თბილისი, 1981.

წერეთელი, 1958 - დ. წერეთელი, რიონის ბარის მარცხენა მხარის ნაწილის მეოთხეული ნალექები და რელიეფი, გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. X, თბილისი, 1958, გვ. 73-110.

ხარაბაძე, 2008 - ს. ხარაბაძე, „ვანის ქვეყნის“ არქეოლოგიური რუკა (ძვ.წ. VIII - ახ.წ. III), თბილისი, 2008.

ჯავახიშვილი, 1946 - ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი, 1946.

ჯაყელი, 1959 - ქ. ჯაყელი, ვანის რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 72, თბილისი, 1959, გვ. 65-90.

Лордкипанидзе და სხვ., 1987 - О. Д. Лордкипанидзе, Р. В. Путиридзе, Д. Д. Качарава, В. А. Толордава, М. С. Пирцхалава, А. М. Чкониа, Н. Н. Матиашвили, Д. В. Ахведиани, Г. Ш. Наридзе, Г. А. Инаури, Работы Ванской экспедиции, Полевые археологические исследования в 1984-985 году, Тбилиси, 1987, გვ. 51-55.

Такаишвили, 1927 - Е. Такаишвили, Церковь в Вани, Известия Кавказского историко-археологического института, т. II, თბილისი, 1927, გვ. 85-110.

Хоштариа, 1979 – Из архива Н. В. Хоштариа (О раскопках на вершине холма в 1947-1959 гг.), ვანი IV, თბილისი, 1979, გვ. 115-134.

Stroszesk, 1994 - J. Stroszesk, Wanen als Sarkophage, Mitteilungen des Deutschen Archaeolgischen instituts, Roemische Abteilung, Bd. 101, Mainz am Rhein,1994, გვ. 82-89.

Tolordava, 1990 - V. Tolordava, Un complexe cultuel des VIIIe-VIIe siecles a Vani, in: PE, Paris, 1990, გვ. 243-248.

დანართი 1 - ფოტომასალა



სურ. 1

სურ. 2

Bagdat-Vani-Dapnari
Вани
Bagdat-Vani-Dapnari
Bagdat-Vani-Dapnari
Bagdat-Vani-Dapnari
Vani Archaeological Site
Palmeti
Google Earth
Image © 2026 Maxar Technologies
Image © 2026 Airbus
1 km
N

სურ. 3


р. Рионы
р. Сулори
Зеда-Цихесулори
Гагма-Вани
Вани
р. Сулори
Салхино
Зеда-Вани

სურ. 4

სურ. 5

სურ. 6

სურ. 7

სურ. 8

სურ. 9


N
tr22
tr21
tr20
tr23
tr12
tr13
tr14
tr19
tr18
tr5
tr6
tr16
tr17
tr25
tr7
tr15
tr27
tr26
tr8
tr9
tr24
tr10
tr11
სასტუმროს ნამოსახლარი
tr29
tr28
tr30
tr31
ვანის ნაციოლაქარი
tr2
tr1
tr3
tr4
0
200
400 m

სურ.10



სურ. 11

სურ. 12

სურ. 13

სურ. 14



სურ. 15

სურ. 16

სურ. 17

სურ. 18


tr21
tr20
tr19
tr18
tr14
tr13
tr12
tr23
 სასაფლაო
tr5
tr6
tr25
tr7
tr26
tr27
tr17
tr16
tr15
tr8
tr9
tr24
tr10
tr11
დვალიშვილის ეზო
სოფ. ზეკნიკის ეზო
0
50
100 m
N

სურ. 19


tr21
tr20
tr19
tr18
tr14
tr13
tr12
tr5
tr6
tr7
tr17
tr16
tr15
tr27
tr25
tr26
tr8
tr9
tr10
tr11
tr24
tr23
0
50
100 m
N

სურ. 20

სურ. 21

სურ. 22

სურ. 23

სურ. 24

სურ. 25

სურ. 26

სურ. 27

სურ. 28



სურ. 29

სურ. 30

სურ. 31

სურ. 32

სურ. 33

სურ. 34

სურ. 35

სურ. 36

სურ. 37


I
N
I
გეგმა მ-1:25
პირობითი აღნიშვნა
ასფალტის საფარი
ბეტონის საფარი
გზის მომზადება
შლამიანი დანალექი
კულტურული ფენა
პროფილი I-I
0 25 100სმ

სურ. 38

სურ. 39

სურ. 40

სურ. 41


პირობითი აღნიშვნა
ასფალტის საფარი
ბეტონის საფარი
გზის მომზადება
შლამიანი დანალექი
კულტურული ფენა
I
N
I
პროფილი I-I
0 25 100სმ
გეგმა მ-1:25

სურ. 42

სურ. 43

სურ. 44

სურ.45

სურ. 46

სურ. 47

სურ. 48

სურ. 49

სურ. 50

სურ. 51



სურ. 52

სურ. 53

სურ. 54

სურ. 55

სურ. 56

სურ. 56

სურ. 57

სურ. 58



სურ. 59

სურ. 60

სურ. 61

სურ. 62


I
II
II
N
I
გეგმა-პროფილები მ - 1:25
პირობითი აღნიშვნა
ბეტონის საფარი
გზის მომზადება
შლამიანი დანალექი
მოყავისფრო თიხნარი
კულტურული ფენა
0 25 100სმ
პროფილი I-I
პროფილი II-II

სურ. 63

სურ. 64

სურ. 65

სურ. 66

სურ. 67

სურ. 68


კუდაფაცაცა ფენის გაჩენილი
კულტურული ფენა
დაზიანებული კულტურული ფენა
tr21
tr20
tr19
tr14
tr13
tr12
tr5
tr23
tr10
tr11
tr24
tr9
tr8
tr27
tr26
tr25
tr7
tr17
tr16
tr15
tr18
სასაფლაო
სოფ. ცხენისის ეზო
ფაფალიძეების ეზო
0
50
100 m
N

სურ. 69